



შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“

პროფესიული მომზადების პროგრამა

„შინმოვლის სპეციალისტი“

მარნეული
2021

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: პროფესიული მომზადების პროგრამა „შინმოვლის სპეციალისტი“

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

2 3 4 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 220 სთ; I-VII კვირეული დატვირთვა 30 სთ, VIII კვირის დატვირთვა 10 სთ. სასწავლო დღეების მიხედვით საათობრივი დატვირთვა: ორშაბათი - 6სთ, სამშაბათი - 6სთ, ოთხშაბათი - 6სთ, ხუთშაბათი - 6სთ, პარასკევი - 6სთ;

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: 25; (ორ ჯგუფში 50 მსმენელი)

მინიმალური 12 მაქსიმალური 25

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

მინიმალური ასაკი 18 წელი, საბაზო განათლება.

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მოამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ზრუნვის სისტემისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარის მქონე სპეციალისტი მომვლელი, რომელიც როგორც ბინაზე ასევე, სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება და

საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) შეძლებს სწორი და ადექვატური საბაზისო მოვლის მომსახურების მიწოდებას ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების და პირადი უსაფრთხოების წესების დაცვის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია შინმოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოუმუშაოს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ სამედიცინო განათლება და მისცეს მათ დასაქმების საშუალება.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

იცის და შეუძლია:

1. შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
2. ეფექტური კომუნიკაცია შინმოვლაში;
3. შინმოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა;
4. ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება;
5. ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში;
6. ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით;
7. ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა და გადამისამართება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობის 2019 წ. დადგენილება №334;
- შინმოვლის მომსახურების დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევა;
- საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია;
- ჩარჩო დოკუმენტი- საექთნო განათლება;
- მოდული - შინმოვლა;
- მოდული - ავადმყოფის მოვლა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

„შინმოვლის სპეციალისტის“ მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს 18 წლის ასაკიდან, საბაზო განათლებით, ვისაც ააქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით

პროგრამის მოცულობა არის 220 საათი და გრძელდება 8 კვირა 30 სთ კვირეული დატვირთვით.

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ეფექტური კომუნიკაცია შინმოვლაში;
- შინმოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება;
- ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში;
- ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით;
- ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა და გადამისამართება.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს აქვს შინმოვლის სპეციალისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობა დასაქმების (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება და საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) ან/და თვითდასაქმების.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად და კონკრეტულადაა აღწერილი ცოდნისა და უნარების მიხედვით.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
პირველი კვირა	შინმოვლის კონცეფცია	1	3 სთ	ლექცია დისკუსია	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
	შინმოვლის კომპონენტები - ფსიქოსოციალური და საბაზისო მოვლა	1	4 სთ	ინტერაქტიული ლექცია დისკუსია	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
	მოვლის თეორიული ასპექტები	1	3სთ	ინტერაქტიული ლექცია დისკუსია	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
	ეთიკის მნიშვნელობა შინმოვლის სფეროში	1	3 სთ	ინტერაქტიული ლექცია დისკუსია შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
	მომვლელის ფსიქო-ემოციური (სტრესი, ემოციების კონტროლი, გადაწვა და ა.შ.) მდგომარეობის სტაბილურობა	1	5 სთ	ინტერაქტიული ლექცია დისკუსია შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
	უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა ინფექციის კონტროლის საკითხების გათვალისწინებით	1	7 სთ	ინტერაქტიული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	დამოკიდებულების ხარისხის, უძლურების	1	5 სთ	ინტერაქტიული ლექცია	გამოკითხვა ტესტი ღია /დახურული	AC გარემო

	შეფასება - ბართელის უმცლურების შკალა, ADL და IADL ტესტები			დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	
მეორე კვირა	ბენეფიციარზე დეტალური დაკვირვება	1	9 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	სასიცოცხლო მონაცემების შეფასება (გაზომვა)	1	7 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა როლური თამაში	გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლები	1	2 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია	გამოკითხვა	A გარემო
	კომუნიკაციის პროცესი	2	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო
	მოსმენის პროცესი	2	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო
	საუბრის დაგეგმვა და წარმართვა	2	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო

	ეფექტური ინდივიდუალური და ჯგუფური კომუნიკაციის წესები და ბარიერები	2	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
მესამე კვირა	დაგეგმვის პრინციპები	3	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	A გარემო
	მოვლის ინდივიდუალური გეგმა	3	4 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	მოვლის უსაფრთხო ადექვატური გარემოს შექმნა საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით	3	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება	AC გარემო
	მომვლელის სწორი პოზიცია ბენეფიციართან მუშაობის დროს	4	10 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია შემთხვევის ანალიზი პრაქტიკული სავარჯიშო	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	ბენეფიციარის რეპოზიციონირება საწოლში	4	10სთ	ინტერაქციული ლექცია დემონსტრირება როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
მეოთხე კვირა	სხეულის მოვლა	4	10 სთ	ინტერაქციული ლექცია დემონსტრირება	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო

				პრაქტიკული მეცადინეობა		
	საკვების და სითხის მიღება	4	8 სთ	ინტერაქციული ლექცია დემონსტრირება პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	დახმარება გამოყოფის დროს	4	8 სთ	ინტერაქციული ლექცია დემონსტრირება პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები	4	4 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი		AC გარემო
მეხუთე კვირა	სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები (გაგრძელება)	4	20 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	შინმოვლის დოკუმენტაციის წარმოება	4	10 სთ	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	AC გარემო
მეექვსე კვირა	დამოუკიდებლობის შენარჩუნება	5	6 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება	AC გარემო

				ანალიზი		
	მოვლის ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენება	5	10 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	გართულებების და გამწვავებების თავიდან აცილების სწავლება/რეკომენდაცია (ნაწოლი, ყაზობა, პნევმონია, კონტრაქტურა, თრომბოზი, სოკოვანი დაავადება, ინტერტრიგო, დაცემა, ცისტითი)	5	14 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა დემონსტრირება შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	AC გარემო
მეშვიდე კვირა	მენტალური დარღვევების მქონე პირების მოვლა	6	8 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	AC გარემო
	გამომწვევი ქცევა - წინაპირობები, გამოვლინება	6	6 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	AC გარემო
	ძალადობა და აგრესია - ამოცნობა, რეაგირება	6	6 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა ტესტი ღია/დახურული	AC გარემო

	პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები და გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები	7	10 სთ	შემთხვევის ანალიზი ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი დემონსტრირება როლური თამაში	გამოითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
მერვე კვირა	პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები და გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები (გაგრძელება)	7	4 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი დემონსტრირება როლური თამაში	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ადგილზე გამომახებული ჯანდაცვის გუნდისთვის	7	6სთ	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი	პრაქტიკული დავალება	AC გარემო

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა -----

მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი